ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 142318429**

თარიღი:**03/07/2023**

ქ. ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე ს/კN05.32.16.322

განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

,,სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-IX თავის შესაბამისად;

ვბრძანებ:

1. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ შპს ,,ტემპო ჰოლდინგის'' 2023 წლის 24 აპრილის **N:10/1423103719-14** განცხადების საფუძველზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

2. ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

3. წარმოდგენილი განაშენიანების დეტალური გეგმის/პროექტის შესახებ მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1062-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში.

4. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 29 ივლისისა.

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი